www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კულტურის სტატისტიკა

2021

15.06.2022
www.geostat.ge

15.06.2022

კულტურის სტატისტიკა

2021 წელი

თეატრების სტატისტიკური გამოკვლევა

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში 52 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა, აქედან, 2 ერთეული იყო ოპერისა და ბალეტის თეატრი, 41 - დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების, 2 - ბავშვთა და მოზარდმაყურებელთა, ხოლო 7 - თოჯინების თეატრი. თეატრების უმრავლესობა (51.9 პროცენტი) ფუნქციონირებდა თბილისში, 15.4 პროცენტი - იმერეთში, ხოლო დარჩენილი 32.7 პროცენტი სხვა რეგიონებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება თეატრის ტიპების მიხედვით, 2021 წელს.

დიაგრამა №1

თეატრების განაწილება თეატრის ტიპების მიხედვით, 2021 წელს



2021 წელს ქვეყანაში ჩატარდა დაახლოებით 1.9 ათასი ღონისძიება, აქედან 119 ჩატარდა ქალაქგარეთ. საზღვარგარეთ ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ შეადგინა 27 ერთეული, რომელშიც 203 პირი მონაწილეობდა.

15.06.2022

2021 წელს ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით 83.3 პროცენტით გაიზარდა და 1 787 ერთეული შეადგინა. სპექტაკლების ნახევარზე მეტი (52.9 პროცენტი) ჩატარდა ქ. თბილისში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2020-2021 წლებში.

დიაგრამა №2

ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2020-2021 წლებში
(ერთეული)



2021 წელს ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა საერთო რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 46.3 პროცენტით გაიზარდა და 183.8 ათასი შეადგინა. საშუალოდ ერთ სპექტაკლზე დასწრების მაჩვენებელი 103 კაცით განისაზღვრა. მაყურებელთა დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ქ. თბილისი (47.7 პროცენტით), ხოლო მეორე ადგილზეა იმერეთი (13.5 პროცენტით).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2020-2021 წლებში.

დიაგრამა №3

მაყურებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2020-2021 წლებში

(ათასი კაცი)



2021 წელს საქართველოში 250 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ფუნქციონირებდა, საიდანაც 99 ერთეული წარმოადგენს მემორიალურ მუზეუმს, 72 ერთეული - ისტორიულს (მხარეთმცოდნეობის), 23 ერთეული - ხელოვნების, 13 ერთეული - მუზეუმ-ნაკრძალს, 2 ერთეული - ლიტერატურულს, ხოლო 41 სხვა სახის მუზეუმს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება ტიპების მიხედვით, 2021 წელს.

დიაგრამა №4

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების განაწილება 2021 წელს



2021 წელს ყველაზე მეტი მუზეუმი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში (23.2 პროცენტი). ამ მაჩვენებლით მეორე და მესამე ადგილებზე იმერეთის (14.8 პროცენტი) და კახეთის (14.0 პროცენტი) რეგიონებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2021 წელს.

დიაგრამა №5

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2021 წელს

(ერთეული)



2021 წელს მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით 160.5 პროცენტით გაიზარდა და 807.2 ათასი კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 3.2 ათასი დამთვალიერებელი მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2020-2021 წლებში.

დიაგრამა №6

დამთვალიერებელთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, 2020-2021 წლებში

(ათასი კაცი)



2021 წელს მუზეუმებში ექსკურსიების რაოდენობა 103.6 პროცენტით გაიზარდა და 20 057 ერთეული შეადგინა, ხოლო გამოფენათა რაოდენობა - 23.2 პროცენტით გაიზარდა და 537 ერთეულს გაუტოლდა.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge